

მარინე ფუთურიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი

**ორნამენტული მოტივები და მათი პრეზენტაციების
ხერხები ქ3. 6. II ათასობის დასახის
ვერცხლის ფურჩებზე**

ქვ. ნ. XXI-XVII ს-ის პირველი ნახევრის საუკუნეების სამხრეთ კავკასიაში გამორჩეულად დაწინაურებული თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურა სხვა მრავალფეროვან მასალებთან ერთად ტორევტიკის ნიმუშების სიმრავლითაც გამოირჩევა. ოქრომჭედლობის ეს დარგი, რომელიც სწორედ ამ კულტურის დროს იკიდებს ფეხს ფართოდ და განსაკუთრებულ დაწინაურებასაც აღნევს, ოქროსა და ვერცხლის ჭურჭლის სიუხვითაა ცნობილი. ზოგადად, ხაზგასასმელია, რომ ლითონის ჭურჭლის გამოჩენა სამხრეთ კავკასიაში უშუალოდ თრიალეთის კულტურას უკავშირდება და მანამდე ამ კატეგორიის არცერთი არტეფაქტი აღნიშნულ რეგიონში დადასტურებული არ არის. ვერ ვიტყვით, რომ ლითონის რომელიმე ფაქტურის არტეფაქტები სჭარბობს მეორეს. ისინი მეტ-ნაკლებად ერთნაირი რაოდენობით არის წარმოდგენილი ამ კულტურის გავრცელების მთელს ვრცელ რეგიონში (Куфтин, 1941: 88-92; Puturidze, 2003: Fig.5.1; Puturidze, 2017: Fig. 2.1., 3.1., 4.1.).

ამჯერად მხოლოდ ვერცხლის ჭურჭლზე მოცემულ ორნამენტულ მოტივებსა და მათი გადმოცემის ხერხებზე წარმოვადგენთ ჩვენს თვალთახედვას. უნდა ითქვას, რომ ამ საკითხს სხვადასხვა დროს სხვადასხვა მკვლევარი ეხებოდა, თუმცა ძირითადად მაინც, ამა თუ იმ კონკრეტული არტეფაქტების შესწავლის მხრივ (ჯაფარიძე, 1981; Rubinson, 2003: 128-143; Rubinson, 2019: 12-25; Devedjian, 2006: 251-269) და არა

ამ კატეგორიის მასალისათვის დამახასათებელი მოტივების, მხატვრული სტილისა და გადმოცემის ხერხების მთლიან მასშტაბში განზოგადების თვალსაზრისით. ამჯერად შევეც-დებით ამ თემის ზოგიერთ ასპექტს შევეხოთ საკვლევი კულ-ტურისათვის დამახასიათებელ თავისებურებათა ჭრილში და მიმოვიხილოთ, თუ რა სტილისტური პროგრამა, მოტივები და ხერხები ხდება სპეციფიკური თრიალეთის ვერცხლის ჭურჭლისათვის.

უპირველესად აღსანიშნავია, რომ ეს ნაწარმი სტილის-ტური თვალსაზრისით იყოფა მდიდრულ და სადა ჯგუფებად. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე დამახასიათებელია ამ კულტურისათვის და ორივე გამოკვეთილად მდიდრულ სამარხებში გვხვდება. ამჯერად ჩვენ ვერცხლის ჭურჭლის ტიპოლოგიურ შესწავლას არ ვაპირებთ, ეს ცალკე კვლევის საგანია, არა-მედ მხოლოდ ორნამენტული მოტივებზე გავაკეთებთ აქ-ცენტს.

თრიალეთის კულტურის მდიდრულად ორნამენტირებულ ჭურჭელთა ჯგუფში გვაქვს საკულტო-სარიტუალო მოტივის დეკორით შემკული და, ასევე, მხოლოდ ფლორა-ფაუნის სიუჟეტით დატვირთული ან მხოლოდ გეომეტრიული სახეებით გადმოცემული ნიმუშებიც. რაც შეეხება პირველს, ის ნარ-მოდგენილი გვაქვს ორი ჭურჭლით: წალკის №5 და ყარაშა-მის №1 ყორლანებში აღმოჩენილი ეგზემპლიარებით. დასაწყისშივე ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ სწორედ საკულტო თასებია გამორჩეული სიუჟეტის სირთულით და მოტივების მრავალფეროვნებით. ვერცხლის ჭურჭლის არც ერთ სხვა ჯგუფს არ ახასიათებს ამგვარად მდიდრული და დატვირთული იკონოგრაფიული პროგრამა, რომელიც დამოუკიდებელ ფრიზულ მონაკვეთებშია გადმოცემული. ამ თასების სარიტუალო ხასიათს ადასტურებს არა მხოლოდ მასზე მოცემული სიუჟეტის სარიტუალო შინაარსი, არამედ ისიც, რომ სწორედ მისი ამსახველი ფრიზია ცენტრალური და დანარჩენებისაგან გამორჩეულად ფართოც. წალკის ყორლანის ჭურ-

ჭლის ცილინდრულ კორპუსზე სულ ოთხი ჰორიზონტალური ფრიზია მოცემული, რომელიც თანმიმდევრულადაა გან-
 თავსებული ერთმანეთის ქვეშ, პროპორციულად დაშორებუ-
 ლი მკაფიოდ გამოყოფილი ვიწრო, რელიეფური სარტყელით.
 ოთხივე ფრიზი ორნამენტირებულია, თუმცა ერთმანეთისა-
 გან სრულიად განსხვავებული მოტივებითა და იკონოგრაფი-
 ული სქემით. განხილული სარიტუალო, დაბალფეხიანი თასე-
 ბი წარმოადგენს განვითარებული, შუა ბრინჯაოს ხანის II
 ფაზის შედევრებს, რომელთაც ანალოგები წინააზიურ სამყა-
 როში დღემდე არ ეძებნებათ. ეს ნიმუშები მკაფიოდ წარმოგ-
 ვიდგენს მხატვრული ხელოსნობის დარგის განვითარების
 მწვერვალს, რომელიც სტილისტური ნორმების და გადმოცე-
 მის მანერის მხრივ აშკარად გამორჩეული ჯგუფია ვერ-
 ცხლის სხვა ჭურჭელთა შორის. სარიტუალო სცენით შემკუ-
 ლი ფრიზი, გვირგვინიდან მეორე რიგში, წარმოგვიდგენს რი-
 ტუალში მონაწილე ანთროპომორფული გამოსახულებების
 მსვლელობას ტახტზე მჯდომი ღვთაებისაკენ. ეს არის ცენ-
 ტრალური სიუჟეტი, რომელშიც ამავდროულად ჩართულია
 არაერთი სხვა დამოუკიდებელი ფიგურა. ორნამენტაციაზე
 წარმოდგენილი სიმბოლოები, დეკორატიულთან ერთად, სი-
 უჟეტის ერთიანი განვითარების სქემაში ბუნებრივადაა ჩარ-
 თული. ამგვარ ფიგურათა შორის აღსანიშნავია საკურთხევ-
 ლის, სიცოცხლის ხის, ავეჯის (გადაჯვარედინებულფეხიანი
 ტახტი), წამონოლილ პოზაში მოცემული ცხოველებისა და
 მაღალფეხიანი ჭურჭლის გამოსახულებები (Куфтин, 1941:
 88-92). რაც შეეხება ყარაშამბის ვერცხლის თასს (Оганесян,
 1988: 158-170; Кушнарева, 1994: 99-102), მის ექვს ფრიზზე
 განთავსებული გაცილებით მეტი რაოდენობით ფიგურების:
 ფრთებგაშლილი არწივის, სკამზე მჯდომი მუსიკოსისა და
 მის წინ კი მუსიკალური ინსტრუმენტის – ლირის, რამდენიმე
 დამოუკიდებელ ფრიზში მოცემულ ცხოველთა რიგის, სხვა-
 დასხვაგვარი ტიპის იარაღის, საკურთხევლისა და თვით რი-
 ტუალის სიუჟეტის გამოსახულებები ნათელს ხდის ამ პერი-

ოდის მსოფლმხედველობრივი წარმოდგენის ამსახველ რთულ სარიტუალო პროცესიას. თითოეული ამ ფიგურათა-განი ორგანულად არის ჩართული რიტუალის მთლიან იკონოგრაფიულ პროგრამაში და რამდენადაც მათი გამოსახვა ცნობილია გლიპტიკის თუ ტორევტიკის არაერთ წინააზიურ გამოსახულებათა შორის, შესაბამისად, საკმაოდ წათელ წარმოდგენას იძლევა ძველბაბილონური ხანის რიტუალსა და საკულტო პრაქტიკაზე. ვფიქრობთ, რომ ამ წინააზიურ ტრადიციას აშკარად კარგად იცნობს სამხრეთკავკასიელი, მატერიალურად დაწინაურებული ელიტური საზოგადოების დაკვეთების შემსახულებელი ოქრომჭედელი, რადგან მის მიერ ადაპტირებული და გააზრებულია მეზობელი სამხრეთელი ცივილიზაციებისთვის დამახასიათებელი რიტუალის სიუჟეტი. თრიალეთის კულტურის ელიტა აშკარად იცნობს და ითავისებს საკულტო სფეროში მიღებულ იმ ნორმებსა და სტანდარტებს, რომელიც წამყვანი და მოწინავეა იმდროინდელ ძველ საყაროში. ეს ნათლად ჩანს სწორედ ტორევტიკის თუნდაც ამ ორი გამორჩეული ნიმუშის საფუძველზეც (გარდა იმისა, რომ ამაზევე მეტყველებს დაკრძალვის პრაქტიკა წალკის მდიდრულ ყორდანებში). ყველაფერი ეს და სხვა არაერთი მომენტი ერთობლიობაში, მიუთითებს, თუ რამდენად აქტუალური და გაზიარებული იყო თრიალეთელი საზოგადოების მიერ მისი თანამედროვე დაწინაურებული ცივილიზაციების მიღწევები (ფუთურიძე, 2020: 199-209). ეს კი ყველაზე ნათლად და მკაფიოდ ელიტური დარგის – მხატვრული ხელოსნების ნიმუშებმა ასახეს. ვერცხლის სარიტუალო თა-სებიც, რომლებიც თრიალეთის კულტურის გავრცელების სხვადასხვა წამყვან ცენტრებში აღმოჩნდა, ამ კულტურულ-ეკონომიკური კავშირურთიერთობებისა და ცივილიზაციური მიღწევების გავრცელებისა და გაცვლის უდავო ამსახველია. უნდა ითქვას ერთი არსებითი მომენტის შესახებაც: მიუხედავად საკუთრივ ტორევტიკის ამგვარი არტეფაქტების არარსებობისა წინა აზიის კულტურულ სივრცეში, მაინც

უაღრესად ნიშანდობლივ ფაქტად უნდა ჩაითვალოს წალკისა და ყარაშამბის სარიტუალო თასებზეგამოსახული ცალკეული ფიგურებისა (რიტუალის სიუჟეტი, ღვთაების სახე, საკურთხეველი, ავეჯი, სასმისები, ცხოველთა მსვლელობა ან მათი პოზა, რიტუალში მონანილე ანთროპომორფულ გამოსახულებათა ტიპი და სხვა) და მათ იკონოგრაფიული გადმოცემის მხრივ ანალოგიები სწორედ წინააზიური გლიპტიკისა ან ქვის საკულტო ბარელიეფების ნიმუშებზე.

აյ ჩვენ არ მოვიტანეთ ვერცხლის სარიტუალო თასებზე გამოსახულ სიუჟეტთა დაწვრილებითი აღწერა. ეს ზედმეტად მიგვაჩნია იმის გამო, რომ ის საკმაოდ ფართოდ არის წარმოდგენილი ქართულ და უცხოენოვან პუბლიკაციებში (Куфтин, 1941: 88-92; Оганесян, 1988: 158-170; Кушнарева, 1994: 101-103; ჯაფარიძე, 1981; გოგაძე, 1972: 69-79; ფუთურიძე, 2003: 122-127; 2017: 213-218; Robinson, 2003: 128-143; Robinson, 2019: 12-25; The Gold Working of Ancient Armenia, 2007; Puturidze, 2017: 213-228). რაც შეეხება ორნამენტაციის გადმოცემის ხერხს – ვერცხლის საშუალო სისქის ფურცლის ზედაპირზე მოცემულ მოტივებს, ის ღრმა ნაჭდევის საშუალებით გამოსახულებების კვეთითაა შესრულებული, რომლის საბოლოო და ნატიფი სახის მისაღებად ხელოსანს მოუხდა უაღრესად რთული მეთოდის გამოყენება. კერძოდ კი, უკვე მოდელირებული ცილინდრული ფორმის ჭურჭლის შიდა მხრიდან იუველირულად შესრულებული დაწესებვის ტექნიკით, კორპუსის გარეთა ზედაპირზე ნაჭდევი ხაზით წინასწარვე გამოკვეთილი ფიგურებისათვის ბარელიეფის დასრულებული სახის მიცემა (ჯაფარიძე, 1981: 11-29; Robinson, 2003: 128-143). ამგვარი ორნამენტაციის, თანაც მრავლსიუჟეტიანის, შესრულება ჭურჭლის უკვე დასრულებულ ფორმაზე, იუველირული ხელოვნების უმაღლეს სტანდარტზე მეტყველებს, რომელიც ეპოქის შესაბამის ყოველგვარ ტექნიკას სრულყოფილად ფლობს. ამდენად, აღნიშნულ არტეფაქტზე რეპრეზენტირებული მრავალრიცხოვანი, განსხვა-

զեծուլո գոյցուրեծուն սածոլոռու մոռցուրեծուն սատվուն ոյ-
րոմժյուղուն սեզադասեզա մետոռուն (նաժյուղու, սամյալու սո-
մալուն ծարելուցու, մըսուծյուն նայանրու, րելուցուրու սար-
կույլու) գամոպյյունուն, սալրյասադ գամոմասախուլունուն սահեց-
ծու այս մշյամնունուն. ամանց նատլաւ մեթյուցունուն սամյցնուրու
նորյանուն սատվուն սույզու կարցաւ քնոնունու տրուալունուն կուլուց-
րուն մեսակուրյուլու լուուննարմունուն մրավալու առյուլու սեզա
գիունուն նոմյունու (Կոփտին, 1941: 78-100; ցողացյ, 1972: 69-79;
The Gold Working of Ancient Armenia, 2007; Devedjian, 2006: 187,
261-263, գիած. I-IV; Rubinson, 2019: 12-25; Puturidze, 2017: 213-
228).

Ամցարու շմալունու սգանձարդուն գորյուցունուն (ցեսադու,
ամաց գոնուն սամյալունտան յրտաւ) մշյամնա տրուալունուն կուլու-
ց-րուն նուալմուն, րասակուրյուցուն, ոյրոմժյուցունուն դարցուն
սամերետ կազյասունուն ցանսակուտրեծուլու այցավածուն პորյուցուն
սագյեշուրուն դյումոնսգրուրյան մոմահնու, րոմյունու քարմոննու-
լունաւ ցասագեծու ամ կուլուց-րուն սապորյուցուն գաննոնայուրյանուն
սայրտու პրոցեսս. դա ծոլուն, ցունդա սացանցյօնու ալազնուն-
նու հիզենու პոնիունու տու րա սպեցուոյուրու սահասուատու նոմնեծուն
մշյամնունու մոցունունու դամահասուատեծուն մշյա ծրոնչյառու ես-
նուն սամերետ կազյասուն ցերցելուն սարությունու քյուրյունու-
սատվուն, րուտաւ ցա մասալու ցամորհյուլուն տրուալունուն կուլու-
ց-րուն սայրտու գորյուցուոյուն անսամելմուն. ամ մերու մշյամնուն
մահասուատեծուն ցամորյունունու: ա) աշյարաա, րոմ սարություն-
ու սույշյուն ցուցուունուն սացանցյօնու ցամորհյուլուն ցեկո-
րուն սեզա մոնակուրյուտունուն ամսամելմուն. ամուտ եսիցամյուլուն
մունանունու մնունունու մոնանունունուն ամունունուն մունուն
դոմոնանունուն մնունունուն մոնունունուն ամունունուն սեզա
սույշյուն սյյամատա ցոննու, րաւ, ցեսադու, եսին սուսամս ամ
արդյունակունուն սարությունու ցունէցուն. ամունուն, ցերցելուն
տասուն մտյուն մրացալուցուրուն ոյոնորյացուու պրոցրամա-
նու սակուլու-սարգյունու տեմա նամյցանու դա մյացուու ցամո-
րյունունուն սեզա մինաարսուն որնամենուն եսիցամյան. ծ) գո-

რევტიკის ამ ნიმუშების დამახასიათებელი ასპექტია სრული-ად განსხვავებული მოტივების წარმოჩენა ერთ ჭურჭელზე: სარიტუალო, ზოომორფული და გეომეტრიული სტილის კომბინირებით შექმნილი ერთი ჭურჭლის დეკორი. ეს მრავალფეროვანი თემები და მათი ორნამენტული სქემების იმ-გვარად ურთიერთშეხამება, რომ თითოეულ ფრიზში მოცე-მული სიუჟეტი თავისუფლად იკითხებოდეს და ქაოტურად არ ირეოდეს ერთმანეთთან, ქმნის მონესრიგებულობისა და მკაფიონობის უდავო სტანდარტს. გ) ყველა ფრიზში ორნამენ-ტული მოტივების გადმოცემის ერთი და იგივე ტექნიკური ხერხია წარმოდგენილი. როგორც ვერცხლის ორივე ჭურ-ჭლის შემთხვევაში ჩანს, ერთიანი კომპოზიციის შესაქმნე-ლად გამოყენებულია მათი პრეზენტირების სხვადასხვა ტექ-ნიკური ხერხები: ნაჭდევი, ნაკანი, ღრმა და მსუბუქი წერ-ტილოვანი, მოკლე შტრიხების, დაბალი რელიეფის მეთოდი. ეს მომენტი კი დამოუკიდებელ ფრიზებში მოცემული ორნა-მენტაციის განვითარების ხაზში ქმნის გამოსახვის მანერის მთლიანობის შთაბეჭდილებას. დ) მცირე სახეები (ავეჯი, ტანსაცმელ-ფეხსაცმელი და ა.შ.) ყოველთვის მასშტაბის იდეალურად დაცვითა მოცემული მთავარ სიუჟეტურ კომ-პოზიციასთან მიმართებით. ხოლო ის, რაც ოქრომჭედელს განზრახული აქვს გვიჩვენოს როგორც გამორჩეული მნიშ-ვნელობის მქონე დეტალი, მას ყოველთვის გამოკვეთს სიდი-დითაც და აქცენტირებულად, საფასადოდ წინა პლანზე წარ-მოჩენის მხრივაც. მხედველობაში გვაქვს ორივე სარიტუალო ჭურჭელზე მოცემული საკურთხევლის, აყვავებული სიცოც-ხლის ხის, ლირის, ფრთებგაშლილი არწივისა და იარაღის ფი-გურები, რომლებიც სხვა ზემოაღნიშნულ სახეებთან შედა-რებით მკაფიოდ მოცულობითია და ფრიზის თითქმის მთელს სიმაღლეს იკავებს. ე) საბოლოოდ კი, საკულტო-სარიტუალო თასებზე გამოსახული რთული იკონოგრაფიული პროგრამა, შექმნილი მარტივი და რთული სიუჟეტების რიტმულობისა და პროპორციის დაცვის პრინციპზე აგებული ორნამენტით,

ქმნის კომპოზიციურად შეკრულ მთლიანობას, რომელიც მნახველს შეუძლია „წაკითხოს“ ფრიზულად განლაგებულ მონაკვეთებში.

უნდა ითქვას, რომ ეს ნიმუშები დღემდე ყველაზე სრულ-ყოფილ არტეფაქტებადაა მიჩნეული ვერცხლის ჭურჭლის რეპერტუარში. მისგან სრულიად განსხვაებული ტიპია სარ-წყული, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ წალკის №17 ყორ-ლანში აღმოჩენილი ცალით შემოიფარგლება. რთულსიუჟე-ტიან და დახვეწილ ჭურჭელთა შორის გამორჩეულია ერთა-დერთი ეგზემპლარის სახით ცნობილი სარწყულის ტიპი (Куфтин, 1941: ტაბ. LXXXVIII). თრიალეთის კულტურაში ეს ერთადერთი ცალია, რომელიც ვერცხლისა და ოქროს კომ-ბინირებითაა შექმნილი, რაც მას ორგინალურთან ერთად გა-მორჩეულად შთაბეჭდავ ნიმუშად წარმოგვიდგენს. ამ არ-ტეფაქტზე გადმოცემული ორნამენტული სქემა გვირგვინი-დან ძირამდე ერთიანად ფარავს მთელს მის ზედაპირს და ფონად არსად თავისუფალ, ასე ვთქვათ, „სასუნთქ“ სივრცეს არ ტოვებს, რაც მასზე გაშლილი ამა თუ იმ ფიგურების ერ-თანეთისაგან განცალკევებულ სახეებად წაკითხვის საშუა-ლებას არ იძლევა. ამდენად, სიუჟეტი უაღრესად გადატვირ-თულია და ამავე დროს ის ერთ კომპოზიციურ მთლიანო-ბად წარმოგვიდგება. ეს კი სარწყულის ზედმეტად გადატ-ვირთულ სიუჟეტურ სქემასთან ერთად მნახველზე განსა-კუთრებულად ორიგინალური და მდიდრული ორნამენტული სახის მქონე ლითონის ნაწარმის შთაბეჭდილებას ტოვებს. ვერცხლის სარწყულის შემკობის ხერხიც განსხვავებულია ზემოთგანხილული ორი სარიტუალო თასისაგან. თუკი ამ უკანასკნელზე, ღრმა ნაჭდევით შესრულებულ კონტურთან ერთად მკაფიოდ გამოკვეთილი ბარელიეფური ფიგურები იკითხება, მათგან განსხვავებით, სარწყულზე უფრო მსუბუ-ქად ნაჭდევი, ზოგჯერ ნაკანრი, კონტურით მოდელირებული სახეებია და მათი საგანგებოდ, ძალიან დაბალი რელიეფუ-რობით გამოკვეთისათვის კვლავ შიდაპირიდან დაწოლის

ტექნიკური ხერხია გამოყენებული. ამასთან სარწყულზე მხოლოდ ფლორისა და ფაუნის თემატიკა გვხვდება, რომელიც ფიგურების დაუნაწევრებელად, ერთმანეთისაგან უნიკვეტად „თხრობის“ პრინციპზეა შექმნილი. ჭურჭლის მთელი კორპუსი თხელფურცლოვანი ვერცხლითაა ნაკეთები (იქნება ამის გამოც დაზიანდა ის სხვა ნივთებთან შედარებით ყველაზე მეტად) და მის ძირსა და გვირგვინზე კი ჰორიზონტალურად შემოუყვება ოქროს სადა სალტეები. ოქროს მასალა გამოყენებულია სარწყულის კიდევ ერთ ნაწილზე, რომელიც განსხვავებით ძირისა და გვირგვინის დასახელებული დეტალებისა, გაცილებით ნატიფად ნაკეთები, ბრჭყელი, წნულის ორნამენტითა შემკული. ის ვერტიკალურ ზოლად გასდევს ჭურჭლის ორივე გვერდს, სწორედ იქ, სადაც კორპუსის ვერცხლის ფირფიტის შეერთების ადგილია. ამ ორგინალური ხერხით, ვფიქრობ, რომ ოქრომჭედელმა ორი პრობლემა გადაჭრა: ჯერ ერთი, მოაგვარა ვერცხლის ფირფიტის გადაბმის ადგილის შენიღბვა და, მეორეც, ტექნიკურად უზადოდ და ნატიფად შესრულებული წნული ორნამენტით დეკორის გამდიდრებაც. სარწყულს აქვს ჭურჭლის კორპუსზე მოძრავად მიმაგრებული ყური (Куфтин, 1941: ტაბ. LXXXVIII). უნდა ითქვას, რომ ვერცხლის ჭურჭელზე, მისი კორპუსის მაღლა მოდელირებული რკალისბური ფორმის ყური თრიალეთის კულტურისათვის უცხო მოვლენა არ არის, მაგრამ სარწყულისა მაინც განსხვავებული ტიპია. ის ერთადერთი შემთხვევაა განსხვავებულად შესრულებული გრეხული ყურის არსებობისა, რომელიც ფუნქციურად ჭურჭლის ადგილად გამოყენების გარდა, მისი დეკორაციული ნიუანსით გამდიდრებისთვისაც იყო გამიზნული. მიუხედავად ვერცხლის ამ ორ ჭურჭელს შორის განსხვავებისა, ისინი მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით, უდავოდ, სიახლოვეს ამჟღავნებენ ერთმანეთთან მცენარეული და ცხოველური სახეების გადმოცემის მანერისა და ცხოველის ტანის მოკლე, ირიბი ხაზებით დაშტრიხვის მხრივაც. ორივე მათგანზე რქოსან და სხვა

უფრო პატარა ტანის ცხოველთა და, ასევე, ანალოგიურ მცენარეთა ჯიშების გამოსახულებებს ვხვდებით. შთაბეჭდილება იქმნება, რომ მხატვრული ლითონის ოსტატს ზედმინევნით კარგად ჰქონდა ათვისებული მისთვის ცნობილი ბიოგარემოს წარმომადგენელთა ტიპები და სწორედ მათ აქტუალიზებას შეეცადა რთული იკონოგრაფიული პროგრამის შექმნისას. გარდა რთული და უხვი ორნამენტით შემკული განხილული არტეფაქტებისა, თრიალეთის კულტურა წარმოგვიდგენს სხვა კატეგორიის ვერცხლის ჭურჭელსაც, რომლებიც ორნამენტული სახეების მხრივ ბევრად ძუნნადაა შემკული ან საერთოდ სადაზედაპირიანია. ამგვარი ნიუშების ერთ ათეულამდე აღმოჩენის შემთხვევებია უკვე ცნობილი. ვერცხლის ჭურჭლის მოკრძალებულად დეკორირებული ნიმუშები ფორმის თავისებურებიდან გამომდინარე სამ ტიპად შეიძლება დიფერენცირდეს: ნახევარსფერული ღრმა თასები, ცილინდრული ფორმის შედარებით მოზრდილი ზომის ჭურჭელი და ბიკონოსურგანიანი თასები. მათგან, ნახევარსფერული, დახვეწილი პროფილის მქონე ვერცხლის ცალყურა თასი აღმოჩენელია ლორი ბერდის №65 ყორდანში (Devedjian, 2006: ტაბ. IV, 1). ის სრულიად სადაზედაპირიანია, თუმცა მის ერთადერთ დეკორატიულ ელემენტად შესაძლებელია ჭურჭლის კორპუსის ზედა ნაწილში განთავსებული მოხდენილი, ჭრილში მართკუთხა განივევეთისა და ფორმით კი ბრტყელი ყური განვიხილოთ. საინტერესოა, რომ ყურს შეუა ნაწილში მკაფიოდ ჩაღრმავებული სიგრძივი ღარი ამკობს, რაც თვით მის ნაპირებს მაღალი ნიბოს ფორმას აძლევს. აშკარად იკვეთება, რომ ის თვით ყურის დეკორატიულობის ერთ-ერთი ელემენტია, ჭურჭლის კორპუსთან მისი მიმაგრების სხვა დეტალებთან ერთად. მიმაგრება კი იმდენად მყარად არის გაკეთებული, რომ თვით ჭურჭლის ერთ ნაწილში – სწორედ ყურის ახლოს, უმუალოდ თხელი და დაბალი რელიეფური გვირგვინის ერთი ნაწილის დაზიანების მიუხედავად, ყური ყოველგვარი დეფორმაციის გარეშეა გადარ-

ჩენილი. საყურადღებოა ყურის ტანთან უშუალოდ მიმაგრების სპეციფიკა – სპირალურად დახვეული წვრილი მავთულით შექმნილი დაბალრელიეფური წრიული ფორმის დეტალი, შუაში დაბალი კოპით, რომელიც ამ ნიმუშისთვის აშკარად ერთ-ერთი სახასიათო ორნამენტული ელემენტია. ზოგადად, თრიალეთის კულტურაში ამ ფორმის ლითონის ჭურჭელი დიდად გარცელებული ფორმა არ ჩანს, თუმცა მის ახლო ანალოგად, ვთიქრობ, შეგვიძლია დავასახელოთ ვანაძორის (კიროვაკანი) №1 ყორღანში აღმოჩენილი ცალი (Devedjian, 2006: 262, სურ. 142). ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ XX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში კიროვაკანის ყორღანში აღმოაჩინა პ. პიოტროვსკიმ (Пиотровский, 1949: 34). ვერცხლის სხვა ნიმუშებთან ერთად, ტორევტიკის მთელი მრავალფეროვნება და მათ შორის ვერცხლის ღრმა, ნახევარსფერული თასი 2006 წელს ცალკე თავის სახით გამოაქვეყნა ს. დევეჯიანმა თავის მონოგრაფიაში (Devedjian, 2006: 262, სურ. 142). სწორედ ამის შედეგად გახდა სამეცნიერო წრეებისთვის ცნობილი ამ სამარხეული ძეგლის ვერცხლის მთელი საინტერესო ანსამბლი. ჩვენს მიერ ლორი ბერდის №65 ყორღანის ვერცხლის თასის ანალოგად დასახელებული ეგზემპლიარი ვანაძორის №1 მდიდრული ყორღანიდან დაბალფეხიანი და ძალიან ვინწოდვირგვინიანი ღრმა, ნახევარსფერული ფორმის თასია (Devedjian, 2006: 262, სურ. 142, 1), დამზადებული ვერცხლის მთლიანი ფირფიტისაგან. მისი შემკობის ერთადერთი დეტალია მოხდენილი ფორმის ყური, რომელიც მიმაგრებულია ჭურჭლის საერთო სიმაღლის თითქმის 2/3-ის მონაკვეთის სიგრძეზე, კორპუსის კედლის ვერტიკალურად და, რაც ყველაზე ნიშანდობლივია, მკაფიოდ ზემოთაა აცდენილი მის გვირგვინს. ეს კი მისი ფორმის სტილისტურ სპეციფიკურობას უსვამს ხაზს.ყურის ცენტრალური ნაწილი სიგრძივ მასაც ბრტყლად აქვს ჩაზნექილი ისევე როგორც ლორი ბერდის ეგზემპლიარს, ხოლო ნაპირებთან კი ვიწრო წიბოები გასდევს. ეს ელემენტიც, ცხადია, თასის

დეკორატიულ კომპონენტად იქცა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნახევარსფერული თასების ტიპი უცხო არ დარჩენილა თრიალეთის კულტურისათვის. ტორევტიკის მასალათა შორის უნდა აღინიშნოს ცილინდრული ფორმის, ოდნავ პირგადაშლილი ჭურჭელი, ფართო ძირითა და მასთან შედარებით ფართო პირით (Devedjian, 2006: 262, სურ. 142,2). ვანაძორის (კიროვაკანის) №1 ყორლანში აღმოჩენილი ეს ცალი სადაზედაპირიანია და მეაცრად გეომეტრიული ფორმა აქვს. ამგვარი ტიპის, პროპორციულობითა და კუთხოვანი ხაზის დომინირებით გამორჩეული ჭურჭლის მეტ-ნაკლებად მსგავსი სტილისტური ფორმები ცნობილია სინქრონული ხანის აშურის სამარხებიდან (Muller-Karpe, 1995: 266-267, სურ. 7) და ის ფართოდ გავრცელებულ ტიპოლოგიურ ჯგუფად ითვლება მახლობელი აღმოსავლეთის ფართო რეგიონში. აღსანიშნავია, რომ მასაც, ისევე, როგორც სხვა ორ ზემოთაღწერილ ნიმუშებს ლორი ბერდის №65 და ვანაძორის №1 ყორლანებიდან, ყურის შუა ნაწილზე აშკარად ეტყობა ჩაღრმავების ვიწრო სარტყელი, რომელიც მის ნაპირებს ვიწრო წიბოს ფორმას აძლევს. როგორც ჩანს, ყურის ამგვარად შემკობის პრინციპი დამახასიათებელი ნიუანსი ხდება შუა ბრინჯაოს განვითარებული ხანის საკვლევი კულტურისათვის. ვფიქრობ, რომ სამხრეთული ცივილიზაციების ამავე რეგიონს შეიძლება დავუკავშიროთ კიდევ ერთი ტიპის არსებობა თრიალეთის კულტურის იგივე სამარხეული კომპლექსში. მას დაბალი ნახევარსფერული ფორმის მთელს კროპუსზე გეომეტრიული დეკორის სხვადასხვა მოტივებით ორნამენტირებული ზედაპირი ამშვენებს (Devedjian, 2006: 262, სურ. 142,4). საგანგებოდ მინდა გავუსვა ხაზი ჭურჭლის ფაქტობრივად მთელს ზედაპირზე წარმოდგენილი დაბალრელიეფური, ვიწრო სარტყლების რიგების ურთიერთმიმართების საინტერესო პრინციპს, რომელიც აქამდე არცერთ სხვა თრიალეთურ ნიმუშზე წარმოდგენილი არ ყოფილა. ესაა ერთმანეთისადმი საპირისპიროდ მიმართული, თანაბარად ვიწრო და დაბალრელიეფური სარ-

ტყლების რიგები, განთავსებული ჭურჭლის ზედაპირზე სამ დამოუკიდებელ ჯგუფად. ეს სარტყლები ერთმანეთისაგან აბსოლუტურად თანაბარი ინტერვალებითაა დაცილებული, რაც რიტმულობის განცდას ტოვებს. ორნამენტის ამგვარი განვითარება ჭურჭლის ისედაც დაბალ ფორმას კიდევ უფრო ჰორიზონტულ დერძზე განზიდულის შთაბეჭდილებას აძლევს. საინტერესო და ორიგინალურია დეკორის წარმოჩენა სიმეტრიულობისა და ერთგვაროვანი სტილისტური იერის მიღებისათვის ისე, რომ ოსტატმა ის თანაბარ მონაკვეთებად გაანაწილა მთელს ზედაპირსა და ჭურჭლის ძირზეც. ეს იმგვარადაა, რომ ორნამენტული პროგრამის მთელი განვითარება ერთ მთლიანობას ქმნის. ჭურჭლის ნინხედზე მოცემული ვინრო სარტყლების დეკორი ოდნავ დიაგონალურად, ხოლო ძირზე კი, გაშლილი ნახევარწრეების სახითაა წარმოდგენილი ისე, რომ ორნამენტაციის იმგვარი განლაგება სამ მონაკვეთად განაწილებულ სარტყლებს შორის სამკუთხა კონფიგურაციის თავისუფალ სივრცეს ტოვებს ძირზე. ვფიქრობ, რომ ამ ორნამენტული სქემის ჭურჭელზე განთავსება სწორედ ძირიდან უნდა იწყებოდეს, ხოლო მისი გაშლის შედეგად ის უკვე ჭურჭლის ფასადზე უნდა გრძელდებოდეს. აქვე დავძენ, რომ ორნამენტის ორგანიზების ეს სტილი აშკარად იმეორებს იმ პრინციპს, რომელიც ხათური ცივილიზაციისათვის დამახასიათებელ ტორევტიკის ნიმუშების ერთ მნიშვნელოვან ნაწილზეა მოცემული (Bingol, 1999). ვანაძორის ყორლანის ამ სახასიათო ნიმუშს, ფართო პირთან ჰორიზონტულურად მიუყვება რთული გეომეტრიული ორნამენტული სახე, შექმნილი, კიდევ სხვა სახეებით წარმოდგენილ მოჩარჩოებას შორის არსებული ვინრო და უწყვეტად განვითარებული რომბისებური მოტივით. ორივე ორნამენტული სახე (ჭურჭლის ტანსა და ძირზე და უშუალოდ გვირგვინის ქვემოთ, ფაქტობრივად, მთლიანად ავსებს ჭურჭლის ერთიან სივრცეს და მასზე თავისუფალ ადგილს არ ტოვებს. ვერცხლის სადაზედაპირიანი ჭურჭლის კიდევ ერთ ფორმას იც-

ნობს თრიალეთის კულტურა, რომლის მკაცრი დეკორი მხოლოდ მისი დაბალი ფეხის |ძირზეა მობილიზებული. ამიტომ მისი ნახვა წინხედში ვერ ხერხდება და მხოლოდ თასის გადმობრუნებისას ჩანს. ესაა ბიკონოსური ფორმის ვერცხლის წყვილი ნიმუში წალკის №15 ყორღანიდან, მის ქვედა მხნაკვეთში გარდატეხის ხაზით, რომელიც პორიზონტალურად გავითარებულ მკაფიო წიბოს იძლევა (Куфтиნ, 1941: ტაბ. CII,1). ეს დახვეწილი პროფილის მქონე თასის ტიპი სამეცნიერო სამყაროსთვის კარგა ხანია ცნობილია მიკენის შახტური სამარხიდან. მის შესახებ აქ მეტად აღარ დავაკონკრეტებ, რადგან აღნიშნული ჭურჭელი საგანგებოდ განვიხილეთ ეგეოსურ-ამიერკავკასიური პრობლემისადმი მიძღვნილ ნაშრომში (ფუთურიძე, 2002: 100-113).

ამდენად, თრიალეთის ვერცხლის ყველა ჭურჭელზე წარმოდგენილი ორნამენტული მოტივები და მათი გადმოცემის ხერხები საშუალებას გვაძლევს შემდეგი ვარაუდის გამოთქმისათვის: ა) ვერცხლის ჭურჭელზე მოცემული შემკობის მოტივები ხასიათდება ტიპობრივი მრავალფეროვნებით, რომლებიც განსხვავებულ მხატვრულ-სტილისტურ ვერსიებს გვთავაზობენ; ბ) ჭურჭელზე წარმოდგენილი ორნამენტაცია მასზე გადმოცემული თემის მიხედვით ზოგადად ოთხვარიანტად შეიძლება დიფერენცირდეს: 1. რთულსიუჟეტიანი საკულტო-სარიტუალო, და ასევე, ბიოგარემოს მრავალფეროვნი სახეების შინაარსის ამსახველი სცენები. 2. მხოლოდ ფლორისა და ფაუნის ორნამენტული სქემა. 3. მხოლოდ გეომეტრიული სტილის სახეებით შესრულებული ორნამენტული თემა. 4. შემთხვევები, როცა სადაზედაპირიან ჭურჭელზე, ძალიან მკაცრად და ძუნნად შესრულებული ესა თუ ის დეკორატიული დეტალი წარმოდგენილია არა ფასადზე, სადაც, ჩვეულებრივ, გვაქვს ხოლმე დეკორი, არამედ ჭურჭლის რომელიმე კონკრეტულ ნაწილზე – ყურზე ან ქუსლზე. გ) თრიალეთის კულტურის ვერცხლის ჭურჭელზე პრეზენტირებული ორნამენტული პროგრამის სხვადასხვაგვარი ვა-

რიაციები და მათი შესრულების ტექნიკური ხერხები აშკა-
რად სათანადო კორელაციაშია ერთმანეთთან.

ზოგადად, თრიალეთის ოქრომჭედლობისათვის დამახა-
სიათებელია ყველანაირი მოტივის გადმოცემა მათი დატანის
მეთოდთან ჰარმონიულ შესაბამისობაში. მაგალითად, არც
ერთ შემთხვევაში არ გვაქვს ინკრუსტაციის, ცვარას, ფი-
ლიგრანის, პუნსონის, რელიეფური მავთულით მოდელირე-
ბის, ჭვირვის თუ სხვა შემთხვევები იმგვარ დეკორატიულ სა-
ხეებთან, რომელიც ჰარმონიაში არ ყოფილა მათთან. ეს მიუ-
თითებს, რომ თრიალეთელი ხელოსანი უდავოდ მაღალ დო-
ნეზე ფლობს ორნამენტირებისა და კონკრეტული მოტივების
შეხამებას. სწორედ ამიტომაცაა მიღწეული უმაღლესი სტან-
დარტის მხატვრულ-სტილისტური ღირებულების შედევრე-
ბი. რასაკვირველია, გარდა აქ ზემოთქმული შეფასებისა, სა-
მომავლოდ, ამ მხრივ კვლევა აუცილებლად უნდა გაგრძელ-
დეს და დაზუსტდეს თრიალეთური მხატვრული სტილისა და
მისი გადმოცემის არაერთი სხვა ნიუანსი და მათი საწყისები.

ლიტერატურა:

1. გოგაძე ე., თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიო-
დიზაცია და გენეზისი, თბილისი, 1972.
2. ლორთქიფანიძე ო., ძველი ქართული ცივილიზაციის სა-
თავეებთან, თბილისი, 2002.
3. ფუთურიძე მ., სამხრეთ კავკასია-ეგეოსური სამყაროს
კულტურული კონტაქტების პრობლემისათვის ძვ. წ. III
ათასწლეულის ბოლოსა და II ათასწლეულის პირველ ნა-
ხევარში. ენა და კულტურა, №3, თბილისი, 2002, 110-113.
4. ფუთურიძე მ., ანალოგიური ტენდენციების შედარებითი
კვლევისათვის სამხრეთ კავკასიის და წინა აზიის შუა
ბრინჯაოს ხანის მხატვრულ ხელოსნობაში. ცივილიზაცი-
ური ძიებანი, №9, თბილისი, 2012, 95-106.

5. Շահումյան Ա., Շահումյան Արքայական թանգարանում պահպանվող արքայական գլուխքների մասին. Հայաստանի պատմության պետական թանգարան, Երևան, 2019, 194-209.
6. Ջաֆարյան Ա., Հայաստանում պատմական արքայական գլուխքների մասին. Տեսաբառը, Երևան, 2006.
7. Ջաֆարյան Ա., Հայաստանում պատմական արքայական գլուխքների մասին. Տեսաբառը, Երևան, 1981.
8. Bingol I., Museum of Anatolian Civilizations. Ancient Jewellery, Ankara, 1999.
9. Devedjian S., Lori Berd, II, Erevan, 2006.
10. Muller-Karpe M., Zu den Erdgräbern 18, 20 und 21 von Assur. Ein Beitrag zur Kenntnis mesopotamischen Metallgefäßes und -waffen des 3. Zum 2. Jahrtausend v. Chr., Mainz, 1995, 257-352.
11. Puturidze M., Social and Economic Shifts in the South Caucasian Middle Bronze Age. Archaeology in the Borderlands. Investigations in Caucasia and Beyond. Los Angeles, 2003, 111-127.
12. Puturidze M., The Origins and Development of Gold Working in the Middle Bronze Age Trialeti Culture. SUBARTU, XXXVIII, At the Northern Frontier of the Near Eastern Archaeology. Recent Research on Caucasia and Anatolia in the Bronze Age. (Eds.: E. Rova & M. Tonussi), Turnhout, 2017, 213-228.
13. Rubinson K., Silver Vessels and Cylinder Sealings: Precious Reflections of the Economic Exchange in the Early II Millennium BC. Archaeology in the Borderlands. Investigations in Caucasia and Beyond. Los Angeles, 2003: 128-143.
14. Rubinson K., Actual Imports or Just Ideas? Investigations in Anatolia and the Caucasus. Cultures in Contact. From Mesopotamia to the Mediterranean in the Second Millennium BC. New Haven and London, 2019: 12-25.
15. The Gold Working of Ancient Armenia (III mill.BCE -14 cent.AD), Yerevan, 2007.

16. Куфтин Б., Археологические раскопки в Триалети, I, Тбилиси, 1941.
17. Кушнарева К., Памятники триалетской культуры на территории Южного Кавказа. Археология Кавказа и Средней Азии. Ранняя и средняя бронза Кавказа. М., 1994, 93-105.
18. Оганесян В. Серебряный кубок из Карапшамба. Историко-филологический журнал, №4, Ереван, 1988, 158-170.
19. Пиотровский Б., Археология Закавказья, Ленинград, 1949.